

ანალიზის დასახელება

ქლამიდია ტრაქომატის (Chlamydia trachomatis) საწინააღმდეგო ანტისხეულები IgM, IgG, IgA

რას იკვლევს მოცემული ანალიზი?

მოცემული ანალიზით ხდება ქლამიდიოზის გამომწვევი ბაქტერიის Chlamydia Trachomatis გამოვლენა. ქლამიდიოზი ერთერთი ყველაზე ხშირი სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული ინფექციაა, რომელიც არანამკურნალებ შემთხვევებში იწვევს სერიოზულ გართულებებს. ქლამიდიოზის პროფილაქტიკური შემოწმება, დიაგნოსტიკა და მკურნალობა ძალიან მნიშვნელოვანია მოგვიანებითი გართულებებისა და დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

ქლამიდიოზის მქონე პირებში სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით ინფიცირების რისკი მაღალია, მათ შორის 3-5 ჯერ უფრო დიდია აივ - ით ინფიცირება.

Chlamydia trachomatis - პატარა ზომის (0.2-1 μm), გრამ-უარყოფითი ბაქტერიაა, რომლის რამოდენიმე (დაახლოებით 18) სეროტიპი არსებობს.

ქლამიდიოზი განსაკუთრებით ხშირია 15-24 წლის ასაკის ადამიანებში. ქლამიდიოზის გავრცელების ძირითად გზას წარმოადგენს ინფიცირებულ პარტნიორთან სქესობრივი კონტაქტი. რისკ ფაქტორებია - მრავლობითი სქესობრივი პარტნიორები, კოინფექცია ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების არსებობა ანამნეზში, ასევე პრეზერვატივის არასწორი და არამუდმივი გამოყენება. ქლამიდიოზი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან ვლინდება მსუბუქად გამოხატული სიმპტომებით.

ქალებში, არანამკურნალები ქლამიდიოზი იწვევს მენჯის ღრუს ორგანოების ანთებით დაავადებებს - ცერვიციტი, სალპინგიტი, ადნექსიტი და იწვევს მენჯის არეში ქრონიკულ ტკივილს, უნაყოფობას, ექტოპიური ორსულობის მომატებულ რისკს, ნაადრევ მშობიარობას და ა.შ. მამაკაცებში პირველადი ქლამიდიური ინფექცია იწვევს ურეთრიტს, ეპიდიდმიტს და პროსტატიტს. ქრონიკული არანამკურნალები ინფექციები ხშირ შემთხვევებში უნაყოფობის მიზეზია.

ორსულებში ქლამიდიოზი შეიძლება გამოვლინდეს მშობიარობამდე ძლიერი სისხლდენით, სანაყოფე გარსების ნაადრევი დარღვევით და/ან მცირე წონის ნაყოფის დაბადებით. ინფექციის გადაცემა დედიდან ნაყოფზე შესაძლებელია მშობიარობის დროსაც, ასეთ შემთხვევებში რისკია ისეთი გართულებების წარმოშობისა, როგორებიცაა პნევმონია ან კონიუნქტივიტი.

მენჯის ღრუს ორგანოთა ქრონიკული ინფექციები ხშირ შემთხვევებში იწვევს უნაყოფობას. შესაძლოა გამოვლინდეს მეორადი უნაყოფობა კაცებში.

ახალგაზრდა მამაკაცებში, იშვიათად ქალებში, ქლამიდია იწვევს რეიტერის სინდრომს რომელიც ვლინდება ტრიადით:

- ✓ ართრიტი
- ✓ ურეთრიტი
- ✓ კონიუნქტივიტი

როგორ ტარდება ანალიზი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენური სისხლი.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის?

ანალიზი არ საჭიროებს სპეციფიურ მომზადებას.

შედეგების ინტერპრეტაცია

სეროლოგიური გამოკვლევა - ქლამიდიას საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით გამოიყენება, როგორც დამხმარე სადიაგნოსტიკო მეთოდი.

Chlamydia Trachomatis საწინააღმდეგოდ ორგანიზმი გამოიმუშავებს 3 ტიპის ანტისხეულებს: IgM, IgG და IgA. ინფიცირებიდან რამდენიმე დღეში (დაახლოებით 5 დღეში) სისხლში ვლინდება IgM ანტისხეულები, რაც მწვავე ფაზის მანიშნებელია. მე-10 დღიდან იწყება IgM ჩანაცვლება IgA ანტისხეულებით. 2-3 კვირის შემდეგ კი ვლინდება IgG, რაც ქრონიკულ ინფექციას მანიშნებს. შესაძლებელია სამივე ტიპის ანტისხეულების ერთდროული არსებობა.

უარყოფითი IgA, IgM and IgG – ინფექციის არარსებობა

დადებითი IgM, IgA and IgG – მწვავე ან ქრონიკული ინფექცია

დადებითი IgG – წარსულში გადატანილი ინფექცია, რეკონვალესცენცია

დადებითი IgA, IgM – მწვავე ინფექცია ან რეაქტივაცია

როგორც სხვა ყველა სქესობრივი გზით გადამცემი დაავადებების შემთხვევაში ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით ყველაზე ეფექტურია უსაფრთხო სქესობრივი კონტაქტების დამყარება, პერსონალური ჰიგიენა, საჭიროების შემთხვევაში ექიმთან კონსულტაცია და ინფექციის დროული მკურნალობა.